საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-08/88

ქ. ბათუმი *13 ივლისი, 2018 წ.*

,,ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N01-08/64 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N03 გადაწყვეტილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეტანილი იქნეს ცვლილება ,,ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N01-08/64 ბრძანებაში, კერძოდ:

ა) ბრძანების 3.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3.1. *ბსუ-ს* წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N4 გადაწყვეტილებით (,,აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი") დამტკიცებული ფორმების შესაბამისად შედგენილი საკონკურსო განცხადების (ფორმა - დანართი 3), კონკურსანტის ანკეტის (ფორმა - დანართი 4) და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა - **2018 წლის 16 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა) 10 საათიდან 16 საათამდე,** ბსუ-ს საპროცედურო კომისიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, პირველი კორპუსის პირველი სართულზე, N14 ოთახი). მატერიალური სახით წარმოდგენამდე კონკურსანტებმა საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოადგინონ ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - bsukonkursi2018@bsu.edu.ge;"

ბ) ბრძანების N2 დანართის (ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების შესახებ ინფორმაცია) **მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. საკონკურსო განცხადება, კონკურსანტის ანკეტა და შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს **2018 წლის 16 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით** (შაბათ-კვირის გარდა) 10 საათიდან 16 საათამდე, ბსუ-ს საპროცედურო კომისიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, პირველი კორპუსის პირველი სართულზე, N14 ოთახი). მატერიალური სახით წარმოდგენამდე კონკურსანტებმა საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - bsukonkursi2018@bsu.edu.ge."

2. დაევალოს იურიდიულ დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N01-08/64 ბრძანების კოდიფიცირებული ვერსიის და განახლებული N2 დანართის მომზადება და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის მიწოდება ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსების მიზნით.
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს და პერსონალს.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი *მერაბ ხალვაში*